ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი N5

დაბა ქედა, **24 ივნისი, 2026 წელი.**

სხდომა დაიწყო: 13:30 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 13:40 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან წულუკიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

ამირან ცინცაძე - კომისიის წევრი;
რეზო თურმანიძე - კომისიის წევრი;
ლევან ბერიძე - კომისიის წევრი;
მერაბ ნაკაშიძე - კომისიის წევრი;
ლევან ვერძაძე - კომისიის წევრი;
რამაზ თავდგირიძე - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრება:
ჯამბულ შარაბიძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ციური ზაქარაძე - საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი;
ნანა ბერიძე - საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

24.06.2026 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	რეზო თურმანიძე	კომისიის წევრი	
3	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	
4	ლევან ვერძაძე	კომისიის წევრი	
5	ლევან ბერიძე	კომისიის წევრი	
6	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის წევრი	
7	რამაზ თავდგირიძე	კომისიის წევრი	
8	ჯამბულ შარაბიძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი:

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის 2026 წლის მესამე კვარტალის სამუშაო გეგმა.

მომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ამირან წულუკიძე

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფნანსო-საბიუჯეტო კომისიის 2026 წლის მესამე კვარტალის სამუშაო გეგმა შემდეგი სახით:

	განსახილველი საკითხები და გასატარებელი ღონისძიებები	**განხილვის თარიღი**	**საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე**	**საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე**	**პასუხისმგებელი პირი საკითხის მომზადებაზე**
1	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2025 წლის ანგარიშის მოსმენა - განხილვა	ივლისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი
2	ინიცირებული სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
3	ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2026 წლის მეოთხე კვარტალის სამუშაო გეგმის დამტკიცება	სექტემბერი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს ბიუროს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს დამტკიცდეს საკრებულოს ბიუროს მიერ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის 2026 წლის მესამე კვარტალის სამუშაო გეგმა წარმოდგენილი სახით.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 13:40 საათზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: **ამირან წულუკიძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში **ნანა ბერიძე**